ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №9

4 მაისი 2020 წელი

ქ. ბაღდათი

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2020 წლის პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შეტანილი იქნეს ცვლილება „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2020 წლის პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N25 დადგენილებაში (საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი www.matsne.gov.ge 30.12.2019წ. სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.124.016381) და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. **მე-17 მუხლის (მედიკამენტების დაფინანსება) 17.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„17.2. ამავე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაავადების მქონე პაციენტებისთვის დახმარება განისაზღვრება წელიწადში ერთჯერადად, ხოლო ,,ა“ - ,,თ“ და ,,კ“ - ,,უ“ ქვეპუნქტებში მოცემული დაავადების მქონე პაციენტებისათვის წელიწადში ორჯერ, არანაკლებ ერთთვიანი ინტერვალისა:

ა) ფენილკეტონურიით დაავადებული პაციენტებისათვის 1000 ლარის ოდენობით (სამკურნალო კვების უზრუნველსაყოფად), ონკოლოგიური სენით დაავადებულთათვის - 100 ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენი კატეგორიის პაციენტებისათვის არაუმეტეს 70 ლარისა.

ბ) დასაფინანსებელი თანხის ზუსტი ოდენობა ყველა შემთხვევაში განისაზღვრება შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე: **შალვა მშვილდაძე**